დანართი №1

„დოქტორანტურის შესახებ“ სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) სამართლებრივი აქტების შესაბამისად ადგენს იურიდიული ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.
2. დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური და მიზნად ისახავს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

1. დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

3. დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
4. დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

თავი II. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
3. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ასევე უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.

მუხლი 4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი უნდა განთავსდეს უსდ-ის ვებ-გვერდზე კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასებამდე (გასაუბრებამდე) მინიმუმ ერთი თვით ადრე და მოიცავდეს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის, ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების, დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების, ასევე სხვა ასპექტების შესახებ.
3. კონკრეტული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით დაშვების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს წინარე განათლება, კვლევის პროექტი, შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი, პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რაც იძლევა კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას.

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონის ცოდნა. ამასთან, თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენას მოეთხოვება ამ უცხოური ენის არანაკლებ C1 დონის ცოდნა (იხ. დანართი №1).
5. ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის შესაბამისი დონის ცოდნა, შეიძლება დადასტურდეს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი ან ფრანგულენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (სამაგისტრო, სადოქტორო) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტით ან ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის შესაბამისი დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით.
6. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, ხოლო თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის არანაკლებ C1 დონის ცოდნა, რაც შეიძლება დადასტურდეს ქართული ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ქართული ენის შესაბამისი დონის ცოდნის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით.
7. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტ(ებ)ი ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, ხოლო თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით.
8. დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ქართული ენის ცოდნის დადასტურების ვალდებულებისგან, თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვა ხდება საერთაშორისო პარტნიორობის ან პროექტის ფარგლებში.
9. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგებით ვერ გადალახავს შესაბამისი ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს

წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

10. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები.
11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება ფაკულტეტზე არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით.

მუხლი 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. დოქტურანტურაში ჩარიცხვისათვის, დოქტორანტობის კანდიდატმა იურიდიული ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება თსუ-ის რექტორის სახელზე, თსუ-ის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანდართული დოკუმენტაციით (იხ. დანართი №2).
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება წარმოებს კომისიური წესით. მიმღები კომისიის შემადგენლობას, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარესა და მდივნს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
4. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა კვლევითი უნარების შეფასება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
5. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად მიმღებ დარგობრივ კომისიას წარუდგენს კვლევის პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას.
6. კომისია, საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი წესით, აფასებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის კვლევის პროექტის შინაარსობრივ მხარესა და მის პრეზენტაციას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია ასევე აფასებს შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომს, პუბლიკაციას ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო.
7. დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების სისტემა (შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები) განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით. დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

8. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის მიერ, მისი კვლევითი უნარების შეფასების შედეგების საფუძველზე, მოიპოვებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას.
9. დოქტორანტობის კანდიდატის კონკრეტულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირი კონკრეტულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 6. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით ფაკულტეტზე დოქტორანტურაში მიმღებ კომისიასთან ერთად იქმნება დოქტორანტურაში მიღების სააპელაციო კომისია.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
3. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.
4. სააპელაციო კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროდ, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.
5. თუ კანდიდატი მიიჩნევს, რომ დარღვეულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შედეგების საჯარო გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა წერილობითი განაცხადით მიმართავს სააპელაციო კომისიას.
6. კანდიდატის განაცხადი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. განაცხადი უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომელმაც იმოქმედა დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე.
7. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს განაცხადის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. კომისია უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს იგი საჩივრის განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 1 სამუშაო დღით ადრე.

8. სააპელაციო კომისია შეისწავლის საქმეს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვისას პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობის ან არარსებობის შესახებ.
9. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიამ გამოავლინა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვისას პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობა, სააპელაციო კომისიის შესაბამისი მითითებ(ებებ)ით საკითხი უბრუნდება მიმღებ კომისიას საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით.
10. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიამ ვერ გამოავლინა სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობა, მიმღები კომისიის გადაწყვეტილება რჩება უცვლელი.
11. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გააცნოს აპელანტს. ამასთან, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
2. დოქტორანტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. დოქტორანტს სტატუსი ასევე შეიძლება შეუწყდეს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით:

   ა) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების) შემთხვევაში;

   ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;

   გ) წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში.
4. დოქტორანტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებიც.
5. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ თსუ-ის რექტორის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში დოქტორანტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და დოქტორანტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობის უფლებით.

თავი III. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი კომპონენტები

მუხლი 8. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ, კვლევითი უნარების გაღრმავების გზით, უნდა უზრუნველყოს დოქტორანტის მომზადება დამოუკიდებელი კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, დოქტორანტის საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ინოვაციური ცოდნის შექმნა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება, მეცნიერების (სფეროს), სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინდუსტრიული ან/და სხვა სახის განვითარება, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობა (მათ შორის, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით), ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა) არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომლის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონის აღმწერით განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უნდა უწყობდეს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებდეს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას და ორიენტირებული უნდა იყოს ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლისა და საკვლევი სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერების, სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას, მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას და სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას.
5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელს უნდა უწყობდეს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს აგრეთვე უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.
6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების

განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა.

7. ფაკულტეტზე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება წარმოებს უნივერსიტეტში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ფაკულტეტის კვლევითი პოტენციალის, შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების, წარმატებული პრაქტიკისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით.
8. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე (ექვს სასწავლო სემესტრზე) ნაკლები, ხოლო მისი სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს და დოქტორანტურის სამდივნოს უფლებამოსილება სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში

1. ფაკულტეტის საბჭო წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით:

   ა) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სწავლის ან/და კვლევის პროცესის ვადის გაგრძელების ან დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;

   ბ) ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს;

   გ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემის შეცვლის ან სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილებების შეტანის შესახებ;

   დ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;

   ე) იღებს გადაწვეტილებას რეცენზენტების გამოყოფის შესახებ;

   ვ) იღებს გადაწვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ;

   ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს დოქტორანტურის სამდივნო.
3. დოქტორანტურის სამდივნო:

   ა) აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;

   ბ) ეხმარება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

   გ) კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის

შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;

დ) უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებგვერდზე.

4. დოქტორანტურის სამდივნო ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება აცნობოს დოქტორანტს წერილობითი ფორმით.

მუხლი 10. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი სფეროს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) ან სამეცნიერო პერსონალი. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. იგი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, პროგრამის განვითარების კომიტეტის წევრები და სხვა) თანამშრომლობით პროცეს.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი აანალიზებს პროგრამის შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს წინადადებებს პროგრამის მოდიფიცირების და გაუმჯობესების, პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების ან/და პროგრამის სრულყოფის მიზნით.
5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

   ა. მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარებაში;

   ბ. კონსულტაციებს უწევს დოქტორანტებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებთან, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით;

   გ. აწვდის დოქტორანტებს სათანადო ინფორმაციას კურიკულუმის თავისებურებების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების, ასევე საერთაშორისო მობილობის შესახებ, მათი სასწავლო და კვლევის მიზნების შესაბამისად;

   დ. აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;

   ე. ახორციელებს დოქტორანტების მიერ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პერიოდულ მონიტორინგს;

დ. მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

6. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

მუხლი 11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი

1. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მინიმუმ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე შეიძლება ჩართული იყოს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 12. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტს ჰყავს უახლესი ცოდნით აღჭურვილი ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი.
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს შესაბამისი სფეროს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსუ-ის აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს ხელმძღვანელობის (თანახელმძღვანელობის) გამოცდილება, ან გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა). დოქტორანტის ხელმძღვანელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სამეცნიერო კვლევებში და გააჩნდეს პროფესიული კავშირები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან (ერთობლივი კვლევები, გრანტები, პროექტები და ა.შ.).

4. დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას (კვლევის სფეროს).
5. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკისა და მიმართულების სფეროში გააჩნია შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.
6. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში.
7. დოქტორანტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
8. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დოქტორანტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) დამტკიცებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ამასთან, შეთანხმების პირობები ხელს უნდა უწყობს ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.
9. სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნივერსიტეტის ფარგლებში შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე ფაკულტეტის საბჭოს მიერ აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებულად.
10. დოქტორანტის ხელმძღვანელობა გაითვალისწინება შესაბამისი აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში.

მუხლი 13. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ვალდებულებები

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია დოქტორანტს შეუქმნას პირობები სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად. იგი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან

(ხელმძღვანელებთან) ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

2. დოქტორანტის ხელმძღვანელი ვალდებულია კვლევით პროცესში რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს დოქტორანტს კვლევის მეთოდოლოგიური, სტრუქტურული, კონცეპტუალური და სხვა საკითხების შესახებ. კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კვლევით პროცესში კონსულტაციები გაუწიოს დოქტორანტს კვლევის ბუნების, კვლევის დიზაინისა და პროექტის მენეჯმენტის, კვლევის მეთოდოლოგიის, პროფესიული განვითარების, კორექტული ციტირების პრინციპების, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების გამოყენების წესის, სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და დისერტაციის წერის პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესის, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, ასევე აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგების შესახებ.
4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

   ა. აუხსნას დოქტორანტს კვლევითი, ზეპირი და წერითი უნარების განვითარების მნიშვნელობა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის პროცესში;

   ბ. გაუწიოს კონტროლი დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას;

   გ. მიაწოდოს დოქტორანტს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების დადგენილი ვადების შესახებ;

   დ. მიაწოდოს დოქტორანტს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნების, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, სადოქტორო ნაშრომისა და სადოქტორო ნაშრომის რეზიუმეს ტექნიკური მონაცემების, მათ შორის მათი მოცულობის, ფორმატის, სტილის და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;

   ე. მოსთხოვოს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის და სადოქტორო ნაშრომის წინასწარი ვერსია, ასევე, კვლევის ფარგლებში შესრულებული სხვა სახის სამუშაო და გონივრულ ვადებში მიაწოდოს მას კრიტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელებულ კვლევასთან დაკავშირებით;

   ვ. მიაწოდოს დოქტორანტს ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამისი საერთაშორისო ინდექსის მქონე

სამეცნიერო გამოცემების/ბაზების, აგრეთვე დოქტორანტის მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია ხელი შეუწყოს დოქტორანტის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესს და დაეხმაროს მას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებაში, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებაში.
6. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია განახორციელოს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა.
7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია მოსთხოვოს დოქტორანტს ინდივიდუალური კვლევის გეგმით გათვალისწნებული კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკის დაცვა, ასევე მოსთხოვოს ყოველსემესტრული ანგარიში განხორციელებული კვლევის შედეგების, მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაითვალისწინების შესახებ და შეაფასოს დოქტორანტის პროგრესი. სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასების მიზნით მისცეს დოქტორანს გასათვალისწინებელი რჩევები და რეკომენდაციები და მოსთხოვოს მას კვლევის პროცესთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმებების თაობაზე აწარმოოს ჩანაწერები.

მუხლი 14. დოქტორანტის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) შეცვლა

1. დოქტორანტის დასაბუთებული განცხადებითა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს დოქტორანტის ხელმძღვანელი.
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნით სწავლის ნებისმიერ ეტაპზე ასევე შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებები. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს აცხადებს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, მან დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სადოქტორო თემის სათაური. ამასთან, ძველი და ახალი ხელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია არ შეიცვალოს სადოქტორო თემის სათაური.

მუხლი 15. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სასწავლო კომპონენტი არის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური დახელოვნება, მისი მომზადება მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური

საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებაში.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე (ტენდენციებზე) დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უნდა უწყობდეს დოქტორანტის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას, ასევე, უნდა იძლეოდეს მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სადოქტორო სემინარის, სასწავლო კურსის, კვლევის მეთოდოლოგიის, პრაქტიკის, პრაქტიკული სახის პროექტის ან სხვა სავალდებულო და არჩევით სასწავლო აქტივობის სახით.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 16. დოქტორანტის შეფასება სასწავლო კომპონენტში

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს, დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას.
2. სასწავლო კომპონენტში დოქტორანტების შეფასება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტში დადგენილი გამჭვირვალეა და სანდოა პროცედურების მიხედვით.
3. დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
4. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი (პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში და ასახულია სასწავლო კომპონენტის შესაბამის სილაბუსში.
5. დოქტორანტისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით დაუშვებელია.
6. შუალედური ან დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
7. შესაძლებელია, სასწავლო კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით შეფასების მეთოდებშიც განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

8. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება შუალედური ან დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ თითოეულ შეფასების მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
9. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კონკრეტული სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
    ა. (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
    ბ. (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
    გ. (C) კარგი – 71-80 ქულა;
    დ. (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
    ი. (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:
    ა. (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    ბ. (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
12. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
13. დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

მუხლი 17. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) სახით.
3. დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემის სათაურს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო,

დოქტორანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. დოქტორანტი, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, შეიმუშავებს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევის გეგმას. კვლევის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურას, კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმამ საკვლევი თემის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს დოქტორანტის საქმიანობის წარმართვა და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულება.
5. დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს საკვლევი თემა ან/და შეიცვალოს ან დაზუსტდეს სადოქტორო თემის სათაური.

მუხლი 18. დოქტორანტის შეფასება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში

1. დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იგი დაასრულებს მასზე მუშაობას.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სადოქტორო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს დაცვის კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

   ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;

   ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;

   გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;

   დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;

   ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

   ა) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;

   ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც

წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

5. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარმოდგენის უფლება.
7. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადოქტორო ნაშრომის წარმოდგენის უფლებას.
8. სადოქტორო ნაშრომის უარყოფით შეფასების საფუძველია ასევე დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა. წინამდებარე დებულების მიზნებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებია:

   ა. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;

   ბ. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით;

   გ. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებებისა ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

   დ. სამეცნიერო შედეგების განადგურება, რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებელის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 19. დოქტორანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასება

1. დოქტორანტის პროგრესის განმავითარებელი შეფასების მიზნით, დოქტორანტს, სადოქტორო ნაშრომის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე, მოეთხოვება მინიმუმ ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენა, რაც მისი სადოქტორო ნაშრომის შემადგენელი ნაწილია.

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი წარმოადგენს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში დამოუკიდებელად შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომს, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. იგი მიზანად ისახავს დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას.
3. დოქტორანტი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს.
4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს თსუ-ის სადისერტაციო საბჭო.
5. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ტარდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი სფეროს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობით.
6. დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გაითვალისწინოს სადოქტორო ნაშრომის წარდგენამდე.

მუხლი 20. სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობები

1. დოქტორანტს, სადოქტორო ნაშრომის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე, მოეთხოვება სადოქტორო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება.
2. რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში.
3. ფაკულტეტი ვალდებულია დოქტორანტს მიაწოდოს საორიენტაციო ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამისი საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ.
4. დოქტორანტს სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ პუბლიკაცია სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ან

დოქტორანტს მიღებული აქვს პუბლიკაციის გამოქვეყნების შესახებ თანხმობა, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით.

თავი IV. სადოქტორო ნაშრომის წარდგენა

მუხლი 21. სადოქტორო ნაშრომი (დისერტაცია)

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში. სადოქტორო ნაშრომის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური და პრაქტიკული ან/და თეორიული ღირებულების მქონე.
3. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
4. სხვა ენაზე სადოქტორო ნაშრომის შესრულების საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
5. სადოქტორო ნაშრომის სხვა ენაზე შესრულების შემთხვევაში სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
6. სადოქტორო ნაშრომის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს თსუ-ის სადისერტაციო საბჭო.
7. სადოქტორო ნაშრომის დაცვა წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე დებულებით დადგენილი შეფასების სისტემისა და დაცვის პროცედურების მიხედვით. სადოქტორო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, სადოქტორო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

მუხლი 22. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე)

1. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) უნდა ასახავდეს სადოქტორო ნაშრომის ყველა კომპონენტს. სადოქტორო ნაშრომის რეზიუმე შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს სადოქტორო ნაშრომის ძირითადი შედეგების გაცნობა და ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი მხარის შეფასება.
2. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) უნდა შეიცავდეს

სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა, ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. სადოქტორო ნაშრომის რეზიუმეში გადმოცემული უნდა იყოს კვლევის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.

3. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსიაში (რეზიუმეში) აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა.
4. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (რეზიუმეს) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 40 გვერდს. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (რეზიუმეს) ფორმატი და ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს თსუ-ის სადისერტაციო საბჭო.
5. სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) ქართულ და ინგლისურ ენებზე არის საჯარო, იგი უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 23. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენციის მიზნით, დოქტორანტის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სადოქტორო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით.
2. დოქტორანტი, ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოში სადოქტორო ნაშრომის წარდგენამდე, სადოქტორო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას აკადემიური კეთილსინდისიერების გადამოწმების მიზნით ატვირთავს ფაკულტეტის მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაში.
3. მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის ანგარიში გადაეგზავნება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს. დოქტორანტის ხელმძღვანელი აფასებს სადოქტორო ნაშრომს და ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასცემს წერილობით დასკვნას. დასკვნაში დადასტურებული უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. დასკვნა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მსგავსების აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაზე ნაშრომის გადამოწმების შედეგების შესახებ, კერძოდ, ნაშრომში პლაგიატის ან გაყალბებული მონაცემების არარსებობის თაობაზე.

4. წარდგენილ სადოქტორო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დოქტორანტის ხელმღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და დოქტორანტს.
5. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო კომისიას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.
6. აკადემიური კეთილსინდისიერების საგანგებო კომისია შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის არანაკლებ 5 წევრისგან.
7. დოქტორანტს წერილობითი ფორმით ეგზავნება ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღის შესახებ. დოქტორანტი ესწრება საკითხის განხილვას, სადაც სარგებლობს სიტყვის უფლებით. დოქტორანტს უფლება აქვს მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
8. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დოქტორანტს.
9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 24. სადოქტორო ნაშრომის წარდგენა

1. მსგავსების აღმომჩენ ელექტრონული პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის შემოწმების შემდეგ, დოქტორანტი ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს წარუდგენს სადოქტორო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
2. სადოქტორო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარუდგინოს:

   ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სადოქტორო ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ (იხ. დანართი №3);

   ბ) მის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (დანართი №4);

   გ) სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) ქართულ და ინგლისურ ენებზე და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);

   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) დასკვნა სადოქტორო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (დანართი №5);

   ე) ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს მიერ გაცემული ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

   ვ) მისი ავტორობით სადოქტორო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის

(რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნო და, თუ ისინი წესრიგშია, რეცენზენტების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
4. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.
5. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისგან სადოქტორო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან. ამასთან, სადოქტორო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

მუხლი 25. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტები

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის საბჭო, სადოქტორო ნაშრომის რეცენზირების მიზნით, შესაბამისი მიმართულების (ინსტიტუტის) შუამდგომლობის საფუძველზე, გამოყოფს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთ ადგილობრივ და ერთ საერთაშორისო რეცენზენტს, რომლებსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ-ის სადისერტაციო საბჭო, წარდგინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.
2. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი.
3. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა. რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის (თანახელმძღვანელისთვის) რეცენზენტის ვინაობა კონფიდენციალურია, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას.
4. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში, სპეციალობაში ან მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
5. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
6. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული

სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

7. ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნო რეცენზენტების დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ადგილობრივ რეცენზენტს გადასცემს სადოქტორო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), ხოლო საერთაშორისო რეცენზენტს - სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (რეზიუმეს) ინგლისურენოვან ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
8. რეცენზენტი ვალდებულია, გაეცნოს სადოქტორო ნაშრომს/სადოქტორო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას (რეზიუმეს) და სადოქტორო ნაშრომის/სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (რეზიუმეს) გადაცემიდან 60 კალენდარული დღის ვადაში რეცენზია წარუდგინოს ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს (იხ. დანართი №5).
9. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია ინიშნება ახალი რეცენზენტი.
10. რეცენზენტი ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს წარუდგენს რეცენზიას დადგენილი ფორმის შესაბამისად (დანართი №6).
11. რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

    ა) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;

    ბ) სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;

    გ) კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;

    დ) კვლევის მეთოდოლოგია;

    ე) კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;

    ვ) ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.
12. რეცენზიის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

    ა) ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება;

    ა.ა) ნაშრომის ტექნიკური მონაცემები;

    ა.ბ) ნაშრომის კომპოზიცია;

    ა.გ) ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება;

    ა.დ) დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები;

    ა.ე) ციტირების ფორმატი ;

    ბ) ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება;

    ბ.ა) პრობლემის დასმა;

    ბ.ბ) ლიტერატურის შეფასება;

    ბ.გ) ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება;

    ბ.დ) კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები;

ბ.ე) ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა;

გ) საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ;

დ) შემაჯამებელი შეფასება.

13. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი გასცემს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას:
    ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;
    ბ) დისერტაციის დაცვაზე დაუშვებლობის შესახებ.
14. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.
15. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი.
17. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, ინიშნება ახალი რეცენზენტი.
18. ორი რეცენზენტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადოქტორო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, დისერტაცია დაცვაზე არ დაიშვება.
19. ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნომ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს რეცენზენტთა გადაწყვეტილებები. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს რეცენზენტთა დასკვნებს.
20. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს არქივს.

თავი V. სადოქტორო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები

მუხლი 26. დაცვის კომისიის ფორმირების წესი

1. სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - დაცვის კომისიის მიერ. თითოეული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს დაცვის კომისიას, წარდგინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.
2. დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან. დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე აკადემიური აან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა

კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

3. დაცვის კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე შემფასებლების მონაწილეობა. კომისიის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი.
4. საჭიროების შემთხვევაში, დაცვის კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი (შემფასებლები), სამთავრობო ან/და არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
5. დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადოქტორო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში, დარგში ან სპეციალობაში.
6. დაცვის კომისიის წევრს და დოქტორანტს ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
7. დაცვის კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელი).

მუხლი 27. დაცვის კომისიის უფლებამოსილება

1. დაცვის კომისია:
   ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;
   ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
   გ) უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;
   დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.
2. დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.
3. დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას. დაცვის კომისიის მდივანი აწარმოებს სადოქტორო ნაშრომის დაცვის ოქმს, ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აწვდის დაცვის კომისიის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 28. სადოქტორო ნაშრომის დაცვა

1. დაცვის კომისიის თავმჯდომარე დაცვის კომისიის წევრებთან შეთანხმებით შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. ამასთან, სადოქტორო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ.
2. სადოქტორო ნაშრომის დაცვა წარმოებს დაცვის კომისიის სხდომაზე. სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია. ინფორმაცია სადოქტორო ნაშრომის დაცვის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ვებ გვერდზე სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
3. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
4. ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნომ დოქტორანტს უნდა აცნობოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი, დრო, ადგილი, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა, დაცვის თარიღამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 29. სადოქტორო ნაშრომის დაცვის რეგლამენტი

1. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
2. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.
3. დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
4. დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (იხ. დანართი №7).
5. სხდომის დასაწყისში დაცვის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დოქტორანტის ვინაობას, სადოქტორო ნაშრომის თემას, რეცენზენტების ვინაობას, კომისიას აცნობს სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურას, დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, მათ შორის დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
6. დაცვის კომისიის სხდომას უნდა ესწრებოდნენ დოქტორანტის ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელი), ასევე რეცენზენტები.
7. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, რეცენზია მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
8. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება დოქტორანტის ხელმძღვანელი, მან კომისიას უნდა გაუგზავნოს შესაბამისი მოხსენებითი ბარათი დოქტორანტის პიროვნული და აკადემიური დახასიათებით.
9. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო

მიზეზით ვერ გავიდა დაცვის კომისიის სხდომაზე, ან დაცვის კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, დაცვის კომისიის მიერ განისაზღვრება იმავე სემესტრში დაცვის კომისიის ახალი სხდომის თარიღი.

10. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
11. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა - მაგალითად: სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
12. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო დისკუსია, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს.
13. სამეცნიერო დისკუსია იწყება სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნების წარდგენით, რომლებიც აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის. რეცენზენტების დოქტორანტთან ოპონირების შემდეგ სიტყვა ეძლევა დოქტორანტის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისთვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს. დოქტორანტი უპასუხებს დასმულ შეკითხვებს.
14. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
15. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მიზნით, დაცვის კომისია გადის დახურულ სხდომაზე

მუხლი 30. დაცვის კომისიის დასკვნა (დისერტაციის შეფასება)

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. სადოქტორო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს დაცვის კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
2. სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს, სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობას კომისიის წევრები აფასებენ წინამდებარე დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად

(იხ. დანართი №8).

3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეუფარდებს წინამდებარე დებულების 23-ე მუხლით განსაზღვრულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემას.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

მუხლი 31. დაცვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით, დაცვის კომისიასთან ერთად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სააპელაციო კომისიას, წარდგინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.
2. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.
3. სააპელაციო კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროდ, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.
4. თუ დოქტორანტი მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, დასკვნითი შეფასების საჯარო გამოცხადებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, განაცხადით მიმართოს სააპელაციო კომისიას.
5. დოქტორანტის განაცხადი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. განაცხადი უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესში გამოვლენილი პროცედურული დარღვევების შესახებ, რომელმაც იმოქმედა სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგებზე.
6. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს განაცხადის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. კომისია უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს იგი საჩივრის განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 2 სამუშაო დღით ადრე.
7. სააპელაციო კომისია შეისწავლის საქმეს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობის ან არარსებობის შესახებ.
8. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიამ გამოავლინა სადოქტორო ნაშრომის დაცვის

პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობა, სააპელაციო კომისიის შესაბამისი მითითებ(ებებ)ით საკითხი უბრუნდება სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიას მისი ხელახლა განხილვის მიზნით.

9. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიამ ვერ გამოავლინა სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურული დარღვევ(ებ)ის არსებობა, სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა/შეფასება) რჩება უცვლელი.
10. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გააცნოს აპელანტს. ამასთან, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 32. სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია

1. ფაკულტეტი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადასცეს დაცვის კომისიის მიერ სადოქტორო ნაშრომის შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სადოქტორო ნაშრომი განათავსოს შესაბამის ელექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით.
2. სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განეკუთვნება:
   ა) სადოქტორო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი;
   ბ) სადოქტორო ნაშრომის მოკლე ვერსია (რეზიუმე);
   გ) დოქტორანტის განაცხადი;
   დ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
   ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;
   ვ) ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
   ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;
   თ) რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები);
   ი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

თავი VI. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 33. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს პირველ სვეტს.
2. ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) განიხილავს მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში.
4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დოქტორანტთან ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონის - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
6. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის (დოქტორანტის ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის) პოზიცია.
7. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას უნდა დაესწროს სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთი წევრი მაინც, რომელიც დამსწრეებს ინფორმაციას მიაწვდის დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.
8. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ღია კენჭისყრით, თუ საბჭოს სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და თუ აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.
9. სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შესახებ გადაწყვეტილებას გადაწყვეტილებას იღებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ღია კენჭისყრით, თუ საბჭოს სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილებას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.
10. სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ვალდებულია თავისი წერილობითი დასაბუთება წარუდგინოს ფაკულტეტს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

11. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადოქტორო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

მუხლი 34. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის, ფაკულტეტის დეკანისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
2. დიპლომის გაცემამდე უნივერსიტეტის მიერ შეიძლება გაიცეს ცნობა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კურსდამთავრებულის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 35. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

1. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.
2. ერთიანი ეროვნული ელექტრონული პორტალის ამოქმედების შემდგომ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკისა და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

მუხლი 36. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. აკადემიური ეთიკის დარღვევის არსებობის შემთხვევაში (სადოქტორო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.), საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სადისერტაციო ნაშრომზე მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე.
2. სადოქტორო ნაშრომში აკადემიური ეთიკის დარღვევის ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 37. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე.
2. ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ დოქტორანტებზე ვრცელდება ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის დადგენილებით დამტკიცებილი „სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება“.
3. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც სადოქტორო ხელმძღვანელობას უწევს წინამდებარე დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტ დოქტორანტს შეეზღუდოს დამატებით დოქტორანტის ხელმძღვანელობა.

დანართი №1

უცხო ენის B1 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers inEurope) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Referencefor Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

B1 დონე

საშუალო დონის სირთულის სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ თემებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილ უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე გამართულად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერისა და გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

მოსმენა

შეუძლია გაიგოს სტანდარტული მეტყველების ძირითადი აზრი მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებიც ეხება სამუშაოს, დასვენებას, მოგზაურობას, და სხვა; შეუძლია გაიგოს გასაგები სტანდარტული ნელი მეტყველებით ტრანსლირებული რადიო და ტელეგადაცემების ძირითადი აზრი მიმდინარე მოვლენებზე, მისთვის ნაცნობ, პირადი ან პროფესიული ინტერესების სფეროსთან დაკავშირებულ თემატიკაზე; შეუძლია გაიგოს საშუალო სირთულის ტექნიკური ინფორმაცია, როგორიცაა ყოფითი ტექნიკის ინსტრუქცია, შეუძლია მისდიოს და გაიგოს დეტალური მითითებები; მისდიოს ლექციის ძირითად საკითხებს მისთვის ნაცნობ თემებზე, იმ პირობით რომ ლექციის პრეზენტაცია არის გასაგებად სტრუქტურირებული და უშუალოდ ეხება საკითხს.

კითხვა

შეუძლია მოიძიოს და გაიგოს რელევანტური ინფორმაცია ყოველდღიურ კორესპონდენციაში, როგორიცაა წერილები, ბროშურები და ოფიციალური დოკუმენტები; შეუძლია წაიკითხოს მისი ინტერესების სფეროსთან დაკავშირებული ფაქტობრივი ტექსტები გაგების საშუალო დონით; შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მოვლენების აღწერა, გრძნობების და სურვილების აღწერა წერილებში საკმარისად კარგად იმისათვის, რომ აწარმოოს მიმოწერა; შეუძლია გრძელი ტექსტის სკანირება და სასურველი ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, ან სხვადასხვა ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის მოგროვება სპეციფიკური დავალების შესასრულებლად.

საუბარი

შეუძლია თავისუფლად და მოკლედ ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს საკუთარი აზრები და შეხედულებები, თავი გაართვას ყოფით სიტუაციებს და წინასწარი მომზადების გარეშე ჩაერთოს საუბარში; შეუძლია

მოთხრობის, წიგნის ან ფილმის ძირითადი მოკლე შინაარსის გადმოცემა და საკუთარი რეაქციების აღწერა; შეუძლია პირადი გამოცდილების, შეგრძნებების და რეაქციების დეტალური გადმოცემა; შეუძლია მოულოდნელი (არადაგეგმილი) შემთხვევების დეტალური გადმოცემა; შეუძლია აღწეროს ოცნებები, იმედები და სურვილები, აღწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენები.

წერა

შეუძლია ნაცნობ თემატიკაზე გაბმული ტექსტის დაწერა ცალკეული მოკლე მონაკვეთების სწორხაზოვანი თანმიმდევრული დალაგებით, როგორც მისი ინტერესების სფეროდან, ასევე დავალების სახით; შეუძლია დაწეროს საკუთარი გამოცდილების, შეგრძნებებისა და რეაქციების აღწერა მარტივი გაბმული ტექსტის სახით; შეუძლია დაწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენის ან მოგზაურობის შესახებ; შეუძლია დაწეროს მოკლე მოთხრობა, მოკლე მარტივი ესსე მისი ინტერესების სფეროდან, ასევე შეუძლია შეაჯამოს მოხსენების სახით და წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება შეგროვილ ფაქტობრივ ინფორმაციაზე ყოფით ან სხვა საკითხებზე მისი ინტერესების სფეროდან გარკვეული დონის თავდაჯერებულობით.

B1 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (სერტიფიკატების და ქულების ნუსხა)

გერმანული ენა	Zertifikat Deutsch at the Goethe Institute
	Österreichischen Sprachdiplom Deutsch
	Zertifikat Deutsch –B1
ინგლისური ენა	PET- Preliminary English Test ქულა - Pass with merit
	IELTS - ქულა 4.0 - 5.0
	TOEFL (IBT) - ქულა 47-86
ფრანგული ენა	DELF - B1
	TCF - B1

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers inEurope) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Referencefor Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

B2 დონე

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org) ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო). მესამე დონე ითვლება ენის ფლობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე შეუძლია თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას შეეძლია როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას მეტად აქვს განვითარებული მოქნილობა და უნარი, რათა შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა უცვლელ ენობრივ ერთეულებს და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას თავაზიანობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა საუბრობდეს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგიერთ სფეროში განსაკუთრებით ტურიზმში.

B2 -ის მიხედვით ენის გამოყენების თვისებრივი ასპექტები შემდეგია:

დიაპაზონი	აქვს საკმაო ლექსიკური მარაგი, რათა შეძლოს გასაგებად და გაბმულად, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, წყვეტის (სიტყვების ძებნის) გარეშე გამოხატოს თვალსაზრისი.
სიზუსტე	ავლენს გრამატიკის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს, არ უშვებს შეცდომებს, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას და თავადვე ასწორებს საკუთარი შეცდომების დიდ ნაწილს.
გაბმულობა	შეუძლია გაბმულად ისაუბროს საშუალო ტემპით, დასაშვებია მცირე შეფერხება გამოთქმების „შერჩევისას“ და იშვიათად გრძელი პაუზის გამოყენება.
ინტერაქცია	შეუძლია წამოიწყოს დისკუსია, დაიცვას რიგითობა და დაასრულოს საუბარი, როდესაც ჩათვლის საჭიროდ, თუმცა შეიძლება ამ პროცესში დაუშვას შეცდომები. შეუძლია წამოიწყოს და წარმართოს დისკუსია მისთვის ნაცნობ საკითხებზე ა.შ.
კოჰეზია	შეუძლია კოჰეზიური საშუალებების შეზღუდული რაოდენობის გამოყენება და გასაგები, კოჰერენტული დისკურსის ჩამოყალიბება, თუმცა დასაშვებია გარკვეული შეცდომებიც.

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება მისთვის ნაცნობ ან უცნობ თემებზე პირადი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და პროფესიული სფეროებიდან. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურმა ან არასწორად აგებულმა დისკურსმა ან/და რთულ იდიომატურ ერთეულთა გამოყენებამ შეიძლება იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ლექცია მისთვის ნაცნობ თემაზე, ასევე შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების ძირითადი არსის გაგება, თუკი ამ მოხსენების თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ტელე/რადიო გადაცემების ძირითადი შინაარსი. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული განცხადება აბსტრაქტულ თემებზე.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; შეუძლია იკითხოს დამოუკიდებლად, შეცვალოს და მიუსადაგოს კითხვის სტილი და ტემპი ტექსტის ტიპსა და კითხვის მიზანს, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი დასამოწმებელი წყაროები. აქვს ფართო და აქტიური ლექსიკური მარაგი, მაგრამ შეიძლება შეექმნას პრობლემა იშვიათად გამოყენებული იდიომების დეკოდირებისას. შეუძლია წაიკითხოს და კარგად აღიქვას საკუთარ ინტერესებთან ან სპეციალობასთან დაკავშირებული კორესპოდენციის ძირითადი აზრი; სწრაფად ამოიცნოს ახალი ამბების შინაარსი და მნიშვნელობა; შეუძლია გაიგოს გრძელი, რთული მითითებების არსი საკუთარი სპეციალობის ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების განმეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, აღიქვას საკუთარი სპეციალობის სპეციფიკური წყაროების ძირითადი აზრი; ლექსიკონზე დაყრდნობით და ტერმინოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციის დასადასტურებლად შეუძლია გაიგოს სამეცნიერო სტატიების აზრი მეცნიერების სხვა მიმართულებებიდანაც; შეუძლია წაიკითხოს სტატიები და მოხსენებები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული თანამედროვე პრობლემის შესახებ ავტორის აზრს.

საუბარი

შემსწავლელს აქვს სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. შემსწავლელს აქვს ფართო სპექტრის თემებზე გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი. შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო შეცდომები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია.

წერა

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს წერილი, ესე, რომელშიც გამოკვეთს მოვლენებისადმი პირად დამოკიდებულებას და აღწერს პირად გამოცდილებას. შეუძლია შექმნას გასაგები, დეტალური ინფორმაციის შემცველი, სტრუქტურირებული ტექსტი მისთვის საინტერესო საკითხზე, გადასცეს ინფორმაცია ან დაასაბუთოს საკუთარი დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისი გარკვეული პრობლემის შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზის საშუალებით ტექსტის დაწერა.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe - Zertifikat B2					
	Deutsches Sprachdiplom (DSD)					
	TestDaF-Niveaustufe 3* (TDN 3)					
	DSH 1					
	UNIcert II					
	telc B2					
ინგლისური ენა	**TOEFL Paper**	**TOEFL CBT**	**TOEFL IBT**	**IELTS**	**FCE**	**CERTUS**
	513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 – 6.5	161 -180	72 -88,25
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DELF B2 (51-დან)					

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების B2 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ. ამ ენებში გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უცხო ენის C1 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers inEurope) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Referencefor Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

C1 დონე

C1 დონე შეესაბამება ენის ფლობის უმაღლეს დონეს და გულისხმობს სამსახურსა და სწავლასთან დაკავშირებული რთული დავალებების ეფექტურ გადაჭრას. უფრო დაწვრილებით, CEFRL მიხედვით, C1 დონე გულისხმობს: დიდი ზომის, რთული ტექსტების გაგებას და სრულყოფილად აღქმას, სიღრმისეული, იმპლიციტური ინფორმაციის დეკოდირებას. აზრის სპონტანურ და ძალდაუტანებელ გამოხატვას, კონტექსტისათვის შესაბამისი გამონათქვამის შერჩევას შესამჩნევი შეყოვნების გარეშე. ენის ეფექტურ გამოყენებას სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის. ადვილად გასაგები, კარგად სტრუქტურირებული, დეტალიზებული ტექსტის შექმნის უნარს რთულ და კომპლექსურ თემებზე, რომელიც დაფუძნებული იქნება მართებულ და ადეკვატურ ტექსტის მაორგანიზებელ ერთეულებზე, მაკავშირებლებსა და კოჰეზიურ საშუალებებზე.

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი საუბარი აბსტრაქტულ, რთულ, მისთვის ნაკლებად ცნობილ თემებზე, თუმცა შეიძლება დასჭირდეს გარკვეული დეტალების დაზუსტება, მით უფრო, თუ მოსაუბრის აქცენტი მისთვის ნაკლებად ცნობილია; შემსწავლელი ფლობს იდიომატური და კოლოკვიალური გამოთქმების დიდ რაოდენობას და გრძნობს რეგისტრის ცვალებადობას. მას შეუძლია რთული ტექნიკური ინფორმაციის აღმა და გაგება, რთული და დიდი მოცულობის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები და მათი სტილური თავისებურებები; ასევე კონკრეტული ინფორმაციის გაგება საზოგადოებრივ ადგილებში მიწოდებული განცხადებებიდან ხმაურისა და ცუდი სმენადობის მიუხედავად; ტელე- და რადიოგადაცემების/სხვადასხვა პროგრამის/ფილმების მცირე ნიუანსების თითქმის თავისუფლად გაგება ენის არასტანდარტული გამოყენების პირობებშიც კი. შემსწავლელს დაუბრკოლებლად შეუძლია გაიგოს რთული მსჯელობა ჯგუფური განხილვის/დისკუსიის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თემა მისთვის უცნობია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ტექსტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არასალიტერატურო ენითაა წარმოთქმული ან შეიცავს უცხო ტერმინოლოგიას.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს დიდი მოცულობისა და რთული მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტი/ვრცელი ინსტრუქცია იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი მისი ინტერესების/პროფესიული საქმიანობის სფეროს. ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების გამეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შემსწავლელს შეუძლია ყველა სტილის (არქაული ფორმების ჩათვლით) წერილობითი კომუნიკაციის შედეგად წარმოქმნილი ენობრივი ერთეულის გაგება და სწორი ინტერპრეტაცია. ასევე, შეუძლია სწორად გაიგოს ვრცელი, რთული ტექსტი სოციალურ, პროფესიულ და ზოგადსამეცნიერო პრობლემებზე; კერძოდ, აღიქვას ურთიერთდამოკიდებულებებისა და თვალსაზრისების ფარული და ექსპლიციტური ნიუანსები.

მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად, მოუმზადებლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. იგი ფლობს მრავალფეროვან ლექსიკურ საშუალებებს, რომელიც აძლევს საშუალებას სიტყვა ხატოვნად ახსნას ან მისი განმარტებით/სინონიმით ჩაანაცვლოს, ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა იუმორისტული და სტილისტური ხერხი; ზოგჯერ რთულ თემატიკას შეუძლია დააბრკოლოს საუბრის დონის შესაფერის დონეზე წარმართვა. შემსწავლელს შეუძლია სპეციფიკური დებულებების კრიტიკული ანალიზი; საუბარი/პრეზენტაცია/მოხსენება ამ დებულების სხვადასხვაგვარ განვითარებაზე ადეკვატურ მაგალითებზე დაყრდნობითა და მსჯელობით; პრეზენტაცია რთულ თემაზე. შეუძლია სხარტად და თავისუფლად უპასუხოს შეკითხვებს და ადეკვატურად იმოქმედოს იმ შემთხვევაშიც, თუ მას საუბარს შეაწყვეტინებენ; შეუძლია დიალოგის წარმართვაც. იგი მუდმივად იცავს გრამატიკული სისწორის დონისათვის შესაფერის გრამატიკულ ნორმებს; იშვიათად უშვებს შეცდომებს, ხოლო შეცდომის დაშვები სშემთხვევაში, სწრაფადვე ასწორებს მას. მას ასევე შეუძლია შინაარსის სიზუსტის დაცვისათვის სწორი მახვილისა და ინტონაციის გამოყენება.

წერა

შემსწავლელს შეუძლია კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, ნათლად ფორმულირებული ტექსტის დაწერა განსხვავებული, დონის შესაფერისი ადეკვატური ენობრივი საშუალებისა თუ კონტექსტისათვის რელევანტური სტილისა და რეგისტრის გამოყენებით, მაგალითებისა და არგუმენტების მოშველიებით. შემსწავლელს ასევე შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრი არაოფიციალური სტილის/რეგისტრის ტექსტებსა თუ პირად წერილებში, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს ენობრივი მასალა სხვადასხვა განწყობის, ემოციისა და მინიშნებების გადმოსაცემად. დასაშვებია მცირე უზუსტობები.

C1 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe - Zertifikat C1					
	Deutsches Sprachdiplom (DSD) Stufe 2 (C 1)					
	TestDaF- Niveaustufe 4 (TDN 4)					
	DSH 2					
	UNIcert III					
	telc C1					
ინგლისური ენა	**TOEFL Paper**	**TOEFL CBT**	**TOEFL IBT**	**IELTS**	**CAE**	**CERTUS**
	590 - 637	243 - 270	82 - 90	7 - 8	181-200	88,25-100
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DALF C1 (51-დან)					

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების C1 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ. გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დანართი №2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ----------

მოქალაქე----------

(სახელი, გვარი)

მისამართი: ----------

ტელ.: ---------- (ბინა, მობილური)

ელ.ფოსტა: ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ----------

ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ----------

გთხოვთ, დამიშვათ უცხო ენის გამოცდაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული)/მიღიაროთ სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განმცხადებელი:

------- ---------- 20--- წელი.

თან ერთვის:

- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV), რომელიც ასახავს მონაცემებს აპლიკანტის განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლი (თსუ-ს კურსდამთავრებულისათვის უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი; კონრეტული ჩაბარების წელს მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა ხარისხის მინიჭების თაობაზე);
- ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - ქართულად თარგმნილი პასპორტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტის - "CERTUS"-ის ფარგლებში გაცემული სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფოტოსურათი (3X4) – ბეჭდური 2 ც. და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- სადოქტორო კვლევის პროექტი;
- შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომის (პუბლიკაციის) ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, რაც იძლევა კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
- შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა/დოკუმენტი (სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში

დანართი №3

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარეს

ბატონ/ქალბატონ ----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ----------

(სახელი, გვარი)

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „----------

----------“ განსახილველად.

ვადასტურებ, რომ წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს ჩემი დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს (პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს), ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მასში მითითებულია დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები.

დოქტორანტის ხელმოწერა:----------

თარიღი:----------

დანართები:

- სადოქტორო ნაშრომის 4 აკინძული ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
- დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
- სადოქტორო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (რეზიუმე) ქართულ და ინგლისურ ენებზე და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);
- დოქტორანტის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) წერილობითი დასკვნა სადოქტორო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე;
- ფაკულტეტის დოქტორანტურის სამდივნოს მიერ გაცემული ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
- მისი ავტორობით სადოქტორო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

დანართი №4

შემაჯამებელი ანგარიში

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ---------- შესრულებული სამუშაოს

შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება	
სადისერტაციო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით; ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა)	
სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ხელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სამეცნიერო კონსულტანტი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსე-ბობის შემთხვევაში)	

სასწავლო კომპონენტი

N	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება
1	სასწავლო კურსი			
2	პროფესორის ასისტენტობა			
3	დარგობრივი სემინარი			
4	კვლევის მეთოდოლოგია			
5	სხვა აქტივობა			
6				
7				

სამეცნიერო კომპონენტი

1. ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა)

N	სამეცნიერო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება

1	კოლოკვიუმი I			
2	კოლოკვიუმი II			
3	სხვა აქტივობა			

2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადისერტაციო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშოფები და ა.შ.) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

N	სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი	მოხსენების სათაური	ელექტრონული მისამართი
1			
2			

4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები

N	**ავტორ(ებ)ი** (ყველა თანაავტორის მითითებით; დოქტორანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	**პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	**პუბლიკაციის სათაური** (ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში))	**გამოქვეყნების წელი**
1				
2				

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

აბსტრაქტს თან უნდა ახლდეს ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის სათაური (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.
საკვანძო სიტყვების რაოდენობა: 5 სიტყვა.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა
(თემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის თემა მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის/ინოვაციური მიდგომების აღწერა.);
2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები
(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები შედეგების მითითებით.);
3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

(კვლევის სტრუქტურის აღწერა; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა თემის მიზანი/მიზნებთან.);

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

(დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე.).

დანართი №5

დოქტორანტის ხელმძღვანელის დასკვნა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის

---------- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------

სადოქტორო ნაშრომის „----------“ შესახებ

1. დოქტორანტის ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).
2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა-800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №6

რეცენზია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის----------
სადისერტაციო ნაშრომის „----------“ შესახებ

რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1. ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1. ნაშრომის ტექნიკური მონაცემები
1.2. ნაშრომის კომპოზიცია
1.3. ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება
1.4. დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები
1.5. ციტირების ფორმატი

2. ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1. პრობლემის დასმა
2.2. ლიტერატურის შეფასება
2.3. ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება
2.4. კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები
2.5. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3. საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ
4. შემაჯამებელი შეფასება

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაშვების (დადებითი შეფასება) ან რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სადოქტორო ნაშრომის დოქტორანტისათვის დაბრუნების შესახებ (უარყოფითი შეფასება).

დანართი №7

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის

„----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------
(სახელი, გვარი)

სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმი № ------

თარიღი, თბილისი

1. სხდომაზე დამსწრე საზოგადოება (დაცვის კომისიის წევრების, რეცენზენტებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანის (გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) მითითება).
1. დღის წესრიგის ფორმულირება (---------- ფაკულტეტის „----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის --------- (სახელი, გვარი) სადოქტორო ნაშრომის (დასახელება) დაცვა);
2. კენჭისყრის ჩატარება სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).
3. სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).;
4. ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ (რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).
5. დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის წარდგენა (რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).
6. ადგილობრივი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
7. დოქტორანტის პასუხი ადგილობრივი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
8. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);
9. დოქტორანტის პასუხი საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);
10. სამეცნიერო დისკუსია (თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში).
11. დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სიტყვა (ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).
12. დოქტორანტის სიტყვა (რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).
13. სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურა (სადოქტორო ნაშრომის შეფასება დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; სადოქტორო ნაშრომის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - დაცვის კომისიის თავმჯდომარე და დაცვის კომისიის მდივანი.

დანართი №8

სადოქტორო ნაშრომის შეფასების ფორმა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო ნაშრომის შეფასების უწყისი

დაცვის კომისიის წევრი (სახელი, გვარი) ----------

დოქტორანტის სახელი და გვარი ----------

სადოქტორო ნაშრომის სათაური ----------

დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი ფასდება შეფასების შემდეგი მეთოდებისა და კრიტერიუმების მიხედვით:

სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 0-60 ქულა:

- სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა: ტექსტის მთლიანობა და კომპონენტებს შორის კავშირი - 0-5 ქულა;
- სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება - 0-5 ქულა;
- კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი შესაბამისობა კვლევის შედეგებთან - 0-5 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია - 0-5 ქულა;
- კვლევის მეთოდები, მათი შესაბამისობა კვლევის საგანთან და ობიექტთან - 0-5 ქულა;
- საკუთარი არგუმენტაცია: მათი თანმიმდევრულობა და შემოწმებადობა - 0-5 ქულა;
- საკუთარი ანალიზი და მსჯელობის თანმიმდევრულობა - 0-5 ქულა;
- პრობლემის გადაჭრის დონე - 0-5 ქულა;
- საკუთარი დასკვნები: მათი ადეკვატურობა და დასაბუთება - 0-5 ქულა;
- გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები (წყაროების დამოწმების სიზუსტე ბიბლიოგრაფიაში, სქოლიოში ან ტექსტში ჩართულ მითითებაში), ციტირების ტექნიკა - 0-5 ქულა;
- ნაშრომის ენა, სტილი (ენისა და სტილის გამართულობა) და ნაშრომის ტექნიკური გამართულობა (შრიფტის ზომა, ველები, ინტერვალები, გვერდების დანომვრა, თავების განლაგება) - 0-5 ქულა;
- კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა - 0-5 ქულა.

სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები - 0-40 ქულა:

- ნაშრომის წარმოდგენა: ნაშრომის მიზნების, შერჩეული მეთოდების, კვლევის პროცესის, ძირითადი დებულებების, დასმული პრობლემების, მიღებული დასკვნებისა და შედეგების, ასევე საკუთარი არგუმენტების, ანალიზის და მსჯელობის თანმიმდევრულად წარმოჩენისა და დასაბუთების უნარი - 0-10 ქულა;
- პრეზენტაციის სტრუქტურა, აუდიტორიასთან კონტაქტი, ვიზუალიზაცია, რეგლამენტის დაცვა, მეტყველების კულტურა: მკაფიო, ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით პრეზენტაციის წარმოდგენის, აუდიტორიის

ინტერესის პროვოცირებისა და შენარჩუნების, არსებით საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიმიკის, ჟესტიკულაციის, ინტონაციის გამოყენების, საპრეზენტაციო ტექსტის ლაკონურად და მკაფიოდ სტრუქტურირების, დროის რაციონალურად გამოყენებისა და რეგლამენტის დაცვის, ასევე რელევანტური ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი - 0-10 ქულა;

- დისკუსია: დაცვის პროცესში დასმულ შეკითხვებზე ლოგიკური, არგუმენტირებული, ლაკონური, ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემის უნარი - 0-10 ქულა;
- აკადემიურობა: პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვის უნარი - 0-10 ქულა;

შენიშვნა:

- 0-5 დიაპაზონის შეფასების შემთხვევაში: 0 = წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; 1 = წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 2 = ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; 3 = წაყენებულ მოთხოვნებს ძირითად აკმაყოფილებს; 4 = წაყენებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს; 5 = წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 0-10 დიაპაზონის შეფასების შემთხვევაში: 0 = წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; 1-2 = წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 3-4 = ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; 5-6 = წაყენებულ მოთხოვნებს ძირითად აკმაყოფილებს; 7-8 = წაყენებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს; 9-10 = წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები	**ქულა**
სადოქტორო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	**0-60 ქულა**
(ა) სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა: ტექსტის მთლიანობა და კომპონენტებს შორის კავშირი	
(ბ) სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება	
(გ) კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი შესაბამისობა კვლევის შედეგებთან	
(დ) კვლევის მეთოდოლოგია	
(ე) კვლევის მეთოდები, მათი შესაბამისობა კვლევის საგანთან და ობიექტთან	
(ვ) საკუთარი არგუმენტაცია: მათი თანმიმდევრულობა და შემოწმებადობა	
(ზ) საკუთარი ანალიზი და მსჯელობის თანმიმდევრულობა	
(თ) პრობლემის გადაჭრის დონე	
(ი) საკუთარი დასკვნები: მათი ადეკვატურობა და დასაბუთება	
(კ) გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები (წყაროების დამოწმების სიზუსტე ბიბლიოგრაფიაში, სქოლიოში ან ტექსტში ჩართულ მითითებაში), ციტირების ტექნიკა	
(ლ) ნაშრომის ენა, სტილი (ენისა და სტილის გამართულობა) და ნაშრომის ტექნიკური გამართულობა (შრიფტის ზომა, ველები, ინტერვალები, გვერდების დანომვრა, თავების განლაგება)	
(მ) კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა	
სულ:	
სადოქტორო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობა	**0-40 ქულა**
(ა) ნაშრომის წარმოდგენა: ნაშრომის მიზნების, შერჩეული მეთოდების, კვლევის პროცესის, ძირითადი დებულებების, დასმული პრობლემების, მიღებული დასკვნებისა და შედეგების, ასევე საკუთარი არგუმენტების, ანალიზის და მსჯელობის თანმიმდევრულად წარმოჩენისა და დასაბუთების უნარი	
(ბ) პრეზენტაციის სტრუქტურა, აუდიტორიასთან კონტაქტი, ვიზუალიზაცია, რეგლამენტის დაცვა, მეტყველების კულტურა: მკაფიო, ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით პრეზენტაციის წარმოდგენის, აუდიტორიის ინტერესის პროვოცირებისა და შენარჩუნების, არსებით საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიმიკის, ჟესტიკულაციის, ინტონაციის გამოყენების, საპრეზენტაციო ტექსტის	

ლაკონურად და მკაფიოდ სტრუქტურირების, დროის რაციონალურად გამოყენებისა და რეგლამენტის დაცვის, ასევე რელევანტური ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი	
(გ) დისკუსია: დაცვის პროცესში დასმულ შეკითხვებზე ლოგიკური, არგუმენტირებული, ლაკონური, ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემის უნარი	
(დ) აკადემიურობა: პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვის უნარი	
სულ:	
ჯამური ქულა:	

დაცვის კომისიის წევრის სახელი, გვარი ----------

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------